საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 28 მაისი, 2012 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 132

,,სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წელს აბიტურიენტთა მიღების წესების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 15 დეკემბრის № 91 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის 19/ნ ბრძანების, ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება აკადემიური საბჭოს 2011 წლის 15 დეკემბრის № 91 დადგენილების პირველ და მეორე თავში:

პირველ თავს დაემატოს:
აფხაზურენოვანთათვის - 1 ადგილი.

მე-2 თავის მე 9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
აზერბაიჯანულ, სომხურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტები აბარებენ შემოქმედებით ტურებს არჩეული სპეციალობის მიხედვით და კანონით გათვალისწინებულ სავალდებულო გამოცდას.

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**